585
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა
Контрольный экземпляр
Совета Министров

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
ᲣᲦᲧᲔᲑᲔᲑᲘ

№ 3 (52) 20 მაისი 1953 წელი

30

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

27. ორდენებისა და მედლების ართმევის, შენახვისა და ჩამორთმევის წესის დარღვევის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ.

28. ბრძანებულება საჩხერის, ცაგერისა და წალენჯიხის რაიონებში ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის გაუქმების შესახებ.

29. ბრძანებულება ბოლნისის რაიონიდან თამარისის სასოფლო საბჭოს გამოყოფისა და მარნეულის რაიონზე მიკუთვნების შესახებ.

30. ბრძანებულება „ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაუქმების შესახებ.

31. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის შესახებ.

32. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წ. 18 აპრილის ბრძანებულების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება დ. ი. მამარდაშვილის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

33. მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ ტყიბულისა და ხობის რაიონებში.

34. ბრძანებულება დმანისის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

35. ბრძანებულება ქლუხორის რაიონის ბარის სასოფლო საბჭოს სოფლების ზემოხიდისკარისა და ქვემოხიდისკარის გაუქმებისა და მათი ტერიტორიის ქალაქ ქლუხორზე მიკუთვნების შესახებ.

36. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოდან სოფელ კორტანეთის გამოყოფისა და ყვიბისის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

37. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პრიუტისა და პრიუტის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ.

38. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

39. ამბ. ნ. პ. როგავას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

40. ამბ. ბ. ნ. აბაკელიას დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

27. ორდენებისა და მედლების ართმევის, შენახვისა და ჩამორთმევის წესის დარღვევის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ

მოისმინა რა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ფარქოსაძის ცნობა ორდენებისა და მედლების ართმევის, შენახვისა და ჩამორთმევის წესის დარღვევის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ საგამომძიებლო ორგანოები და სასამართლოები სისტემატურად არღვევენ წესს, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს დაპატიმრებულთათვის და სამართალში მიცემულთათვის ორდენებისა და მედლების ართმევა და შენახვა, აგრეთვე ორდენებისა და მედლების ჩამორთმევა იმ მსჯავრდადებულთათვის, ვისაც სასამართლოს განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა უფლების აყრით.

საგამომძიებლო ორგანოები გამოკვლევის წარმოებისა და ბრალდებულთა დაპატიმრების დროს არ არკვევენ, აქვს თუ არა ბრალდებულს მთავრობის ჯილდოები, არ ართმევენ დაჯილდოებულ ბრალდებულებს ორდენებს, მედლებს და საორდენო დოკუმენტებს. მაგალითად, ბრალდებულის ე. ბ. გაბუნიას საქმის გამოკვლევის დროს ქ. თბილისის ბერიას სახ. რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა არ გამოარკვია, რომ ბრალდებული დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „მამაცური შრომისათვის 1941—1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში“, რაც გამოირკვა მხოლოდ ქ. თბილისის ბერიას სახ. რაიონის II უბნის სახალხო სასამართლოში საქმის განხილვის დროს 1952 წ. 15—20 სექტემბერს. რ. პ. ხატკოვას საქმის გამომკვლევმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა ინსპექციამ არ გამოარკვია და საარალდებო დასკვნაში არ აღნიშნა, რომ ბრალდებული დაჯილდოებული იყო მედლებით. ეს გარემოება გამოირკვა სასამართლოში და ხატკოვას მედლები ჩამოერთვა განაჩენის გამოტანის შემდეგ. ასეთსავე გარემოებას ადგილი ჰქონდა შ. ბ. სვანიძისა და სხვა საქმეებში.

რიგ შემთხვევებში სასამართლოებიც არღვევენ ორდენებისა და მედლების ჩამორთმევისათვის დადგენილ წესს. არ არკვევენ, ჰქონდა თუ არა მსჯავრდადებულს მთავრობის ჯილდოები და სათანადო შემთხვევებში არ უდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შუამდგომლობას მსჯავრდადებულთათვის ორდენებისა და მედლების ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე არ იხილავენ იძულებულ ჩამორთმევის საკითხს, რომელთა უშუალოდ ჩამორთმევის უფლება კანონით მათ მინიჭებული აქვთ.

ასე, მაგალითად ბოლნისის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლომ 1952 წ. 11—14 ივლისს გაასამართლა ი. ვ. კალანდაძე და მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღვეთა და 2 წლით უფლების აყრა. საამართლოს, ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საგამომძიებლო ორგანოს, არ გამოურკვევია, რომ მსჯავრდადებული დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. ეს გარემოება გამოირკვა სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, — თვით მსჯავრდადებულის საკასაციო საჩივრიდან.

თბილისის ბერიას სახ. რაიონის II უბნის სახალხო სასამართლომ განიხილა რა 1952 წ. 24 ნოემბერს გ. ა. ზაიჩენკოს საქმე, განაჩენში აღნიშნა, რომ უნდა აღიძრას შუამდგომლობა მსჯავრდადებული ზაიჩენკოსათვის წითელი ვარსკვლავისა და დიდების ორდენების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ განაჩენი ამ ნაწილში არ შეასრულა. ასევე მოიქცა დასახელებული სასამართლო მსჯავრდადებულის ი. გ. სუკიასოვის საქმის განხილვის დროს (1952 წ. 30 სექტემბერს).

ლაჩჩუთის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლომ 1950 წ. 20—22 მაისს განიხილა საქმე ა. ტ. გვიბირიძის ბრალდების შესახებ და მიუსაჯა გვიბირიძეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით საარჩევნო უფლების აყრა. აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ. სასამართლომ არ გამოარკვია, რომ მსჯავრდადებული გვიბირიძე დაჯილდოებული იყო მედლებით „მამაცობისათვის“, „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“ და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში“ და, რასაკვირველია, მედლების ჩამორთმევის საკითხი არ განიხილა.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ 1948 წ. 25 ნოემბერს განიხილა საქმე ჰ. ს. სისვაძის ბრალდების შესახებ და მიუსაჯა სისვაძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 4 წლით საარჩევნო უფლების აყრა. სასამართლომ არ გამოარკვია და არ იმსჯელა იმაზე, რომ მსჯავრდადებულ სისვაძეს ჰქონდა მთავრობის ჯილდოები — მედლები „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „მოსკოვის დაცვისათვის“.

აღნიშნული ფაქტები შედეგია იმისა, რომ სასამართლოები და პროკურატურის ორგანოები არ აქცევენ ყურადღებას საბჭოთა კანონის მოთხოვნას, სასამართლოს განაჩენებით მსჯავრდადებულთათვის ორდენებისა და მედლების ჩამორთმევის საკითხის განხილვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. დ. ესაკიას უზრუნველყოს საგამომძიებლო ორგანოების მიერ დაპატიმრებულთა და სამართალში მიცემულთათვის ორდენების, მედლებისა და საორდენო დოკუმენტების ართმევისა და შენახვის დადგენილი წესის შესრულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. ვ. მამალაძეს:

ა) უზრუნველყოს, რომ საქართველოს სსრ სასამართლოებმა ისეთი განაჩენის გამოტანის დროს, რომლითაც მთავრობის ჯილდოთი დაჯილდოებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა აყრა, ზუსტად დაიცვან სისხლის სამართლის კოდექსის 32 მუხლი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები: 1946 წ. 19 ოქტომბრისა — „სასამართლო ორგანოების მიერ მედლების ქალაქების დაცვისათვის, აღებისა და განთავისუფლებისათვის, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში“, „მამაცური შრომისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1941 — 1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში“ და „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“ ჩამორთმევის წესის შესახებ აღნიშნული მედლებით დაჯილდოებულთაგან, მათი მსჯავრდადების შემთხვევაში“, და 1950 წ. 16 მარტისა — „სასამართლო ორგანოების მიერ მედლების „დონბასის ქვანახშირის შახტების აღდგენისათვის“, „მოსკოვის 800 წლისთავის ხსოვნისათვის“, „საბჭოთა არმიისა და ფლოტის 30 წელი“ და „სამხრეთის შავი მეტალურგიის საწარმოთა აღდგენისათვის“ ჩამორთმევის წესის შესახებ აღნიშნული მედლებით დაჯილდოებულთაგან, მათი მსჯავრდადების შემთხვევაში“;

ბ) უზრუნველყოს, რომ „ა“ პუნქტში აღნიშნული განაჩენების გამოტანისას სასამართლოებმა აუცილებლად აღნიშნონ განაჩენში, რომელი მედლები ჩამოართვა სასამართლომ მსჯავრდადებულს უშუალოდ და რომელი ორდენებისა და მედლების ჩამორთმევის შესახებ გზავნის წარდგინებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაგზავნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგინებასთან ერთად განაჩენის ასლი და ზემდგომი სასამართლოს დადგენილების ასლი;

გ) წარმოუდგინოს 1953 წლის 1 ივლისისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 28 აპრილი.

28. ბრძანებულება საჩხერის, ცაგერისა და წალენჯიხის რაიონებში ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

მოსახლეობის გეგმიანი წესით სხვა ადგილებში ჩასახლების გამო ჩაითვალონ გაუქმებულად შემდეგი სასოფლო საბჭოები და სოფლები:

1. საჩხერის რაიონის ცხამის სასოფლო საბჭო, ხოლო სოფელი ცხამი მიეკუთვნოს არგვეთის სასოფლო საბჭოს;

2. ცაგერის რაიონის ოფიტარის სასოფლო საბჭო და სოფელი ოფიტარა;

3. წალენჯიხის რაიონის ქალაღალის სასოფლო საბჭო და სოფელი ლანჯიში, ხოლო სოფელი ქალაღალი მიეკუთვნოს ფახულანის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ბრძანებულება ბოლნისის რაიონიდან თამარისის სასოფლო საბჭოს გამოყოფისა და მარნეულის რაიონზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ბოლნისის რაიონს თამარისის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს მარნეულის რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 28 აპრილი.

30. ბრძანებულება „ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაუქმების შესახებ

გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ“ და დასახლებული პუნქტი ხურჩა კვლავ შეუერთდეს ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 28 აპრილი.

31. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ეგნატაშვილი ვასილ იაკობის-ძე „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის მოვალეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2, დამტკიცდეს ამხ. ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წლის 28 აპრილი.

32. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წ. 18 აპრილის ბრძანებულების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება დ. ი. მამარდაშვილის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 18 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება XV ცალკე სახანძრო რაზმის მელულის დავით ილიას-ძე მამარდაშვილის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 28 აპრილი.

33. მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ ტყიბულისა და ხობის რაიონებში

მოისმინა რა ტყიბულისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკოების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ი. გორგიძისა და ს. ნასარაიას მოხსენებები მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ ტყიბულისა და ხობის რაიონებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ტყიბულისა და ხობის რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და მათს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს გაწეული აქვთ ერთგვარი მუშაობა მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის საქმეში.

1953 წ. 10 მაისისათვის ტყიბულის რაიონში 3.368 პენსიონერია, აქედან 333 არის სამამულო ომის ინვალიდი, 1.946—შრომის ინვალიდი, 1.074—სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახი. ხობის რაიონში 1.970 პენსიონერია, აქედან 205 არის სამამულო ომის ინვალიდი, 527—შრომის ინვალიდი, 1.229—სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახი.

მხოლოდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ტყიბულის რაიონში მოქალაქეებზე პენსიის სახით გაცემულია 21.724.500 მანეთი, 208.700 მანეთი გაცემულია ერთდროული დახმარების სახით, 153 პენსიონერი გაგზავნილია სანატორიუმებში სამკურნალოდ უფასო საგზურებით.

ხობის რაიონში ამავე პერიოდში მოქალაქეებზე პენსიების სახით გაცემულია 9.430.000 მანეთზე მეტი, ერთდროული დახმარების სახით — 128.785 მანეთი, სანატორიუმების უფასო საგზურებით სამკურნალოდ გაგზავნილია 101 პენსიონერი. ამას გარდა ინვალიდებისათვის მნიშვნელოვანი დახმარება აქვთ გაწეული კოლმეურნეობების საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროებს.

ამასთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ტყიბულისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და მათს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის საქმეში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ტყიბულის რაიონში 179 მოქალაქე წლების განმავლობაში უკანონოდ იღებდა პენსიას და სულ ამ გზით აღნიშნულ 179 მოქალაქეს 1953 წლის 1 იანვრისათვის უკანონოდ ჰქონდა მიღებული 1.172.272 მანეთი, ხოლო ხობის რაიონში 56 მოქალაქეს — 30ა.350 მანეთი.

ტყიბულის რაიონში 44 პენსიონერს პენსია ეძლეოდა იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე კანონით ეკუთვნოდა. სულ ამ გზით აღნიშნულ პენსიონერებს დააკლეს 61.374 მანეთი.

ტყიბულისა და ხობის რაიონებში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა მოქალაქეებს პენსია ეძლეოდათ კანონიერად, მაგრამ ქუთაისის ყოფილი საოლქო საბჭოს აღძასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მითითებით პენსიას უხსნიდნენ. ამ გზით ხობის რაიონში პენსია მოეხსნა 8 კაცს და აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას გადახარჯულად ჩაეთვალა 45.373 მანეთი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ როგორც ტყიბულის, ისე ხობის რაიონებში ზოგიერთ სპენსიონ საქმეებში არ იყო პენსიის მიღებისათვის საჭირო ყველა საბუთი, როგორიცაა ქორწინებისა და გარდაცვალების მოწმობები, პენსიონერის ოჯახის შემადგენლობის შემოწმების აქტები და სხვ.

კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანოების მოუქნელი მუშაობის გამო ტყიბულის რაიონში პენსიებს, როგორც წესი, ერთი თვისა და მეტის დაგვიანებით აბარებენ პენსიონერებს.

ტყიბულის რაიონში ხშირია შემთხვევები, როცა პენსიების დამნიშვნელი კომისიის სხდომებს არ ეწერებიან სამხედრო კომისარიატის, პროფკავშირისა და საფინანსო ორგანოების წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყიბულისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში საფინანსო დოკუმენტალური რევიზია არ ჩაუტარებიათ რაიონული საბჭოს აღმასკომს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს კონტროლიორ-რევიზორებს.

ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს 1951 წლიდან 1953 წლის 10 მაისამდე მხოლოდ ერთხელ აქვს მოსმენილი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ანგარიში (1951 წ. 18 ივნისს), რაიონული საბჭოს სესიას კი განყოფილების ანგარიში სრულებით არ მოუსმენია. ხობის რაიონში 1950 წლიდან 1953 წლის 10 მაისამდე არც ერთხელ არ ყოფილა მოსმენილი აღნიშნული საკითხი აღმასკომის სხდომასა და რაიონული საბჭოს სესიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ტყიბულისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ი. გორგიძე და ს. ნასარაია) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის საქმის გასაუმჯობესებლად და ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

ა) რეგულარულად შეამოწმონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობა, მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე და რაიონული საბჭოების სესიებზე მათი ანგარიშები და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები სოციალური უზრუნველყოფის რაიონული ორგანოების მიერ უკანონოდ გაცემული თანხების ასანაზღაურებლად;

გ) მოაწესრიგონ პენსიების დამნიშვნელი კომისიების მუშაობა, უზრუნველყონ, რათა კომისიის წევრები ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას სხდომებში;

დ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების ანგარიში 1953 წლის 15 აგვისტომდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. გ. გოჩიშვილი) სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს, პერიოდულად შეამოწმოს მათი მუშაობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. კ. ციმაკურიძე) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს და მიიღოს ზომები პენსიებისათვის გამოყოფილი თანხების სწორად ხარჯვისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში (ამხ. მ. ლელაშვილი) უზრუნველყოს პენსიების დროულად ჩაბარება.

5. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ და განიხილონ მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის საკითხი ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

34. ბრძანებულება დმანისის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს დმანისის სასოფლო საბჭოს სოფელი დალარი და მიეკუთვნოს დმანისის რაიონის ოროზმანის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

35. ბრძანებულება ქლუხორის რაიონის ბარის სასოფლო საბჭოს სოფლების ზემოხიდისკარისა და ქვემოხიდისკარის გაუქმებისა და მათი ტერიტორიის ქალაქ ქლუხორზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს ქლუხორის რაიონის ბარის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემოხიდისკარი და ქვემოხიდისკარი და მათი ტერიტორია მოსახლეობით შეეერთდეს ქალაქ ქლუხორს;

დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს დაადგინოს ქალაქ ქლუხორის ახალი საზღვრები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოდან სოფელ კორტანეთის გამოყოფისა და ყვიბისის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოს სოფელ კორტანეთი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

37. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პრიუტისა და პრიუტის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ეწოდოს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პრიუტს სოფელი ორბეთი, ხოლო პრიუტის სასოფლო საბჭოს ორბეთის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

38. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს თეთრიწყაროს რაიონის თონეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ნაოსარი და გოხნარი; სოფელი ნაოსარი მიეკუთვნოს ამავე რაიონის ორბეთის სასოფლო საბჭოს, ხოლო გოხნარი — ახალსოფლის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. ამხ. ხ. პ. როგავას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ხუტა პეტრეს-ძე როგავა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 მაისი.

40. ამხ. ბ. ნ. აბაკელიას დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

1. დაშვებულ იქნას ამხ. ბორის ნესტორის-ძე აბაკელია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.
2. ეს დადგენილება წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 მაისი.